



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იობი

იობი, ქართლის ეკლესიის მეთაური (ეპისკოპოსი) IV ს. შუახანებში.

„მეფეთა ცხოვრების“ ავტორის ცნობით, „მოკუდა იაკობ ეპისკოპოსი, და დაჯდა იობ სომეხი, ნერსე კათალიკოსისა დიაკონი“. ი-ის წარმომავლობის შესახებ მკვლევრები სხვადასხვა აზრისანი არიან. იგი მიჩნეულია „მცხეთის ადგილობრივი სომხური თემის წარმომადგენლად“ (პ. მურადიანი), ეროვნებით ქართველად, რ-იც ქართლის ეკლესიის მეთაურად ხელდასხმამდე სომხეთში მოღვაწეობდა (გ. მაისურაძე). IV ს. შუახანების ქართლში შექმნილი მძიმე პოლიტ. ვითარების გამო ქართლის ეპისკოპოსად იგი ნერსე სომეხთა ეპისკოპოსმა აკურთხა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის შატბერდულ რედაქციაში იობის სომხობაზე არაფერია ნათქვამი და მითითებულია, რომ „ნერსე სომეხთა კათალიკოსის დიაკონი იობ“ ქართლის „მთავარეპისკოპოსი“ თრდატ მეფის დროს იყო.

წყარო: ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილის და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979.

ლიტ.: გოლაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1992; მისივე, IV ს. 60-იანი წლების ქართლის სამეფოს პოლიტიკური ისტორიიდან, კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1990.